პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ოთარ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მწერლის ოთარ ჭილაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X:483,702.922
Y:4,625,395.130
X:483,711.479
Y:4,625,407.488
X:483,697.735
Y:4,625,398.652
ოთარ ჭილაძის სკვერი
X:483,663.820
Y:4,625,346.518
X:483,725.242
Y:4,625,347.692
X:483,705.375
Y:4,625,318.077

02/622

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია**

**ნაძალადევის რაიონის გამგეობა**

KA010197186237016

**№46/101067**

**20 / აპრილი / 2016 წ.**

ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს
ქალბატონ ლია ჯახველაძეს

მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ ქ. იბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში ახორციელებს სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს. ამ პროექტის ფარგლებში გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნია, სამუშაოების სრულყოფის მიზნით რეაბილიტირებულ სკვერს დაერქვას სახელი. რამდენადაც აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება ნაძალადევის რაიონის კომპეტენციას, მოგმართავთ ინიციატივით, სკვერების სახელის დარქმევის უფლებამოსილ ორგანოს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კერძოდ, სახელდების და სიმბოლიკის კომისიას. გთხოვთ, თემქაზე ანაპისა და ურეკის ქუჩების კვეთაზე არსებულ ახლადრეაბილიტირებულ სკვერს დაერქვას ცნობილი ქართველი მწერლის, პროზაიკოსის, პოეტის და დრამატურგის - ოთარ ჭილაძის სახელი. 1933-2009 წლებში მოღვაწე ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე 1998 წელს,მსოფლიოს, მხოლოდ, ხუთ სხვა მწერალთან ერთად, წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ სკვერისათვის სახელის მინიჭების საკითხი თქვენი კომპეტენციის ფარგლებში.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

გამგებელი ზაზა გა[illegible]

№ 08/7991
"25" აპრილი 2016 წ.
ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი
0105,

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.12.03.003.074

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| N 882016122746 - 01/03/2016 16:14:28 | 15/03/2016 14:23:36 |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | ნაძალადევი | | |
| 01 | 12 | 03 | 003/074 |

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2904.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი თბილისი , ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩაზე უნივერსამის მიმდებარედ

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016122746 , თარიღი 01/03/2016 16:14:28
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/03/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N09-1/236 , დამოწმების თარიღი:01/03/2016 ,სსიპ " ქონების მართვის სააგენტო"

მესაკუთრეები:
სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ID ნომერი:204521794

მესაკუთრე:
სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, ასევე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.12.03.003.074**

განცხადების ნომერი: **8820161227**

მომზადების თარიღი: **15/03/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **2904 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:600

10 20

| | |
|---|---|
| ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | საზღვრიული ნაგებობა |
| 05/25 შენობა/ნაგებობა | 05/25 მშენებარე ნაგებობა |
| ტყის ფონდი | ველდებულება |